საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი #14

27 ივლისი 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი.ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი,
მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ლ.არველაძე, ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, გარემოს დაცვის კომისიების წევრები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ვასილ აბულაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ (საკრებულოს №12-03182013-03 20.07.2018)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-031820624-03 25.07.2018)

მოისმინეს:

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანის სანებართვო პირობების შესახებ საკითხი დეპუტატებს მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ვასილ აბულაძემ წარუდგინა. მისი თქმით, თბილისის ფარგლებში მგზავრთა ტაქსით გადაყვანისთვის შესაბამისი პირობები და ლიცენზიის გაცემის წესია განსაზღვრული. ლიცენზიის აღება მძღოლებს მიმდინარე წლის, 1 აგვისტოდან - 1 ოქტომბრამდე შეეძლებათ. როგორც აბულაძემ განაცხადა, ლიცენზია ერთი წლის ვადით იმოქმედებს. გარდა ამისა, მისივე თქმით, ნებართვის მქონე პირების შესახებ შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა და აღნიშნული ბაზის განახლებისა და დამუშავების წესი განისაზღვრება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მან აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების ძირითადი ნიშნებია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის N1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 916 863,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ ისაუბრა, სამსახურის პროგრამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ რიგ პროექტებში იგეგმება თანხების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებას. კერძოდ; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 0404) 5,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) 255,0 ათასი ლარით,

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ა.ხუჯაძემ, ლ.დარახველიძემ, ი.ჯიშკარიანმა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა წარმოდგენილ პროექტებს მხარი დაუჭირეს და დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია